ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის კენტი მ/რაიონების ტერიტორიაზე
გზების, ქუჩის მონაკვეთების და შიდაკვარტალური ეზოების ასფალტის საფარის
მიმდინარე შეკეთების სამუშაოების
ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV 45233142

ქ. თბილისი
2015 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.7 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.8 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.9 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა– სარაჯიშვილის ქ. №1ბ. საკონტაქტო პირები:

ნანა ლომჯარია ტელ: 2-318-980,

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით -დავით გაბადაძე: 2-318-925

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტია: *ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის კენტი მ/რაიონების ტერიტორიაზე გზების, ქუჩის მონაკვეთების და შიდაკვარტალური ეზოების ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.*

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: 839 470,0 (რვაას ოცდაცხრამეტი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი.

დაფინანსების წყარო: 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებები

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 ტექნიკური პირობები: შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და რაოდენობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში;

- გამარჯვების შემთხვევაში მიმწოდებელმა ყოველ კონკრეტულ ობიექტზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები, უნდა განათავსოს მინიმუმ 1(ერთი) ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ/80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად;
- ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2.2 მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები:

2.2.1 სამუშაოების მიწოდების ვადა: ეტაპობრივად, წერილობითი დავალების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

2.2.2 მიმწოდებელს სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი, შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტი და სამუშაოებისთვის განსაზღვრული ვადები გადაეცემა წერილობით;

2.2.3 2.2.2 პუნქტის გათვალისწინებით, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას სამუშაოების შესრულების მოქმედების ვადაში ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობების სრულად დაკვეთის შესახებ;

2.2.4 თუ კი სამუშაოების უსაფთხო წარმოებისთვის საჭიროა შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული, უსაფრთხოების სქემით სამუშაოების წარმოება, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაიცვას შეთანხმებული სქემით განსაზღვრული პერიმეტრი შესაბამისი მარეგულირებელი ნიშნებით;

2.2.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წერილობითი დავალების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდერული დღის ვადაში;

2.2.6 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, გლდანის რაიონის ტერიტორია.

2.3 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

2.3.1 პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს შემდეგი მინიმალური მატერიალურ– ტექნიკური ბაზა:

	მანქან ა –მექან იზმე ბის დასახე ლე ბა	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	ფრეზი	ც	1
2	ექსკავატორი	ც	1
3	თვითმცლელი	ც	2
4	გლუვ დოლიანი ასფალტის სატკეპნი	ც	2
5	ვიბრო სატკეპნი ასფალტის	ც	1
6	ასფალტდამგები	ც	1

რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N2-ის მიხედვით; სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები (საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, მოძრავ ტექნიკაზე ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობები; იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება და მესაკუთრის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები) ატვითულ უნდა იქნეს სატენდერო წინადადებასთან ერთად. სარგებლობის უფლების დამადასტურებელი

დოკუმენტებით გათვალისწინებული მანქანა-მექანიზმების სარგებლობით განსაზღვრული ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.

2.4 გამოცდილება

2.4.1 პრეტენდენტს 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს ანალოგიური (გზების და ქუჩების კაპიტალური ან/და მიმდინარე /ორმოული/ფრაგმენრული/ შეკეთება) სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომელთა ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1 000 000,0 (ერთი მილიონი) ლარს.

2.4.2 იმ შემთხვევაში, თუ დანართი №3-ში მითითებული სამუშაოების შესყიდვა არ განხორციელებულა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, პრეტენდენტის მიერ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ფ.2 უნდა აიტვირთოს სატენდერო წინადადებასთან ერთად.

2.5 ანგარიშსწორების პირობები:

2.5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.5.2 ანგარიშსწორება მოხდება 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20(ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.5.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

2.5.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) არ გამოიყენება.

2.6. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.6.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, დანართი N5 -ის მიხედვით, (იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 10%-მდე ოდენობით).

2.6.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

2.6.3 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.7. შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტია

2.7.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **2(ორი) წელს.**

2.7.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

2.8 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.8.1 ხარჯთაღრიცხვა დანართი N1–ის მიხედვით *(ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას).*

2.8.2 ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დანართი N2–ის შესაბამისად

2.8.3 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი №3-ის შესაბამისად

2.8.4 რეკვიზიტები დანართი №4-ის შესაბამისად.

2.9 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება:

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას ტენდერისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭებამდე, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან აკრედიტაციის ცენტრში აკრედიტებული სხვა პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა. (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

<u>პროექტი</u>

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი თარიღი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ----- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, ვთანხმდებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გ ლ დ ა ნ ი ს კ ე ნ ტ ი მ/რ ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე გზების და შიდაკვარტალური ეზოების ქუჩის მონაკვეთების და შიდაკვარტალური ეზოების ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.**

2.2 შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი.

2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი ------

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 45233142.

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია ---------- ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა - ეტაპობრივად, წერილობითი დავალების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

3.2 მიმწოდებელს სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი, შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოების დამადასტურებელი პროექტი ან/და დეფექტური აქტი და სამუშაოებისთვის განსაზღვრული ვადები გადაეცემა წერილობით;

3.3 3.2 პუნქტის გათვალისწინებით, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას სამუშაოების შესრულების მოქმედების ვადაში ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობების სრულად დაკვეთის შესახებ;

3.4 თუ კი სამუშაოების უსაფთხო წარმოებისთვის საჭიროა შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული, უსაფრთხოების სქემით სამუშაოების წარმოება, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაიცვას შეთანხმებული სქემით განსაზღვრული პერიმეტრი შესაბამისი მარეგულირებელი ნიშნებით;

3.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წერილობითი დავალების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში;

3.6 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, გლდანის რაიონის ტერიტორია.

3.7 მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ 1(ერთი) ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ/80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.

3.8 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.

3.9 პრეტენდენტს სამშენებლო სამუშაოების ადგილზე უნდა გააჩნდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით განსაზღვრული საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2(ორი) წელს.

4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის თანამშრომლები, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს განახორციელებს **ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.**

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის მიერ დადასტურებული ფორმა №2-ის საფუძველზე, ამასთან სამუშაოების (ან მისი ნაწილის) შესრულების თარიღად ჩაითვლება „შესრულებული სამუშაოების აქტში ფ. №2-ში“ მითითებული თარიღი, დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

6.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმების დროს დეფექტის ან ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს - დაწუნებულ სამუშაოებს და წუნდების მიზეზებს.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20(ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3 ხელშეკრულების 9.2 და 9.3 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის (ან 10%-მდე)-ის ოდენობით.

8.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)
9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.3 ხელშეკრულების 3.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
9.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წერილობითი დავალების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო წერილობითი დავალების ჩაბარებიდან სამუშაოების დაწყების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით;
9.5 წერილობითი დავალებით განსაზღვრული კონკრეტული სამუშაოს დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%- ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.6 თუ მიმწოდებლის მიერ სამუშაოს დასრულების ვადის დარღვევა გამოწვეული არის შემსყიდველის მიერ შერჩეული ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებისათვის აუცილებელი დროის გამოყენებით, ასეთ შემთხვევებში არ იქნება გამოყენებული წინამდებარე ხელშეკრულების 9.5 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.
9.7 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;
9.8 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
9.9 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.10 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ წერილობითი დავალების ჩაბარებიდან სამუშაოების დაწყების 10(ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 20(ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.უფლებების გადაცემა

14.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება- მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

15.ღირებულება

15.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

15.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

15.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის

შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
15.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
16.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ---------- საკონტ. პირი ბ/ქ-ნ ----------,
ელექტრონული ფოსტა: ----------; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): ------;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 2 318 980; საკონტ. პირი ---------- ელექტრონული ფოსტა: ----------
16.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
16.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. სხვა პირობები

18.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
18.2 .ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
----------	----------

გლდანის კენტი მ/რაიონების ტერიტორიაზე გზების, ქუჩის მონაკვეთების და შიდა კვარტალური ეზოების ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტი ----------

№	სამუშაოს სახეობა	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება (ლარი)
1	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება და ადგილზე დასაწყობება შემდგომი გამოყენებისათვის	მ2	3480		
2	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა მექანიზმებით და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	მ3	338,29		
3	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩით და დატვირთვა ა/თვითმცლელზე	მ3	110,11		
4	III კატეგორიის გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთავა ავტოთვითმცლელზე	მ3	2344,6		
5	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთავა ავტოთვითმცლელზე	მ3	602,18		
6	დაზიანებული ბორდიურის დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ3	210,52		
7	ბეტონის ან კლდოვანი გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ3	17,5		
8	სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე საშუალოდ 15 კმ-ზე	მ3	3828,81		
9	ბეტონის ახალი ბორდიურის (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე, საფუძვლისათვის გამოიყენება არანაკლებ 10 ბეტონი 0,035 მ3//გრძივმეტრზე	გ.მ.	3762		
10	ბეტონის ახალი ბორდიურის (7.5X20) მოწყობა ბეტონის საფუძველზე	გ.მ.	1085		
11	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, დატკეპნით ფრაქციის მაქსიმალური ზომა 120მმ	მ3	826,8		
12	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40 მმ სისქით საშუალოდ 10-15სმ დატკეპნით კ-1,26	მ3	1942,94		
13	თხევადი ბიტუმის ან ბიტუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე 0,7 ლ/მ2-ზე	ლ	10268,9		
14	საფარის ქვედა ფენის დამუშავება 60%-იანი ბიტუმის ემულსიის მთელ ფართზე მოსხმით (0.4 ლ/მ2)	ლ	1446		
15	ნაწიბურების ჩაჭრა ხერხით	გ.მ.	291,2		

16	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0.35ლ-დან 0.40ლ-მდე გრძივ მეტრზე	ლ	113,5		
17	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით სისქით 6სმ.	მ2	3615		
18	არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე ბეტონის საფუძველზე. სპეციალური ბეტონის რომლის შემკვრივების დრო იქნება არაუმეტეს 3 საათი	ც	52		
19	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით სისქით 4სმ.	მ2	3615		
20	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით სისქით 5სმ.	მ2	11251,9		
21	ტროტუარის საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ქვიშით (0-40მმ ფრაქციის) საშ. სისქით 8-10 სმ.	მ3	436,72		
22	ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონით სისქით 3სმ	მ2	2749,9		
23	ქვაბულის ძირის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10სმ, დატკეპნა ვიბრო სატკეპნით კ=1,22	მ3	104,1		
24	ახალი გადახურვის მოწყობა თუჯის ჩარჩო-ხუფით (შიდა ზომა 70X70 სმ)	ც	5		
25	ხეების ამოძირკვა	ც	9		
	ჯამი				
	ზედნადები ხარჯი	%			
	ჯამი				
	გეგმიური დაგროვება	%			
	ჯამი				
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	%	3		
	ჯამი				
	დ.ღ.გ.	%			
	სულ ჯამი:				

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი ----------

შენიშვნა:

- *გაუთვალისწინებელი ხარჯი– 3 % არის უცვლელი; აღნიშნული თანხის გამოყენება მოხდება „შემსყიდველთან“ შეთანხმებით.*

- *ხარჯთაღრიცხვის შედგენისას იხელმძღვანელეთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტის-"სამშენებლო სამუშაოების სახლემწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ) შესაბამისად.*

ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შესახებ

№	მანქანა –მექანიზმების დასახელება,	მარკა/ მოდელი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი/ იჯარით (აღებული ვისგან)
1					
.					
.					
.					
.					
.					

სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები (საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, მოძრავ ტექნიკაზე ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობები; იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება და მესაკუთრის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები) ატვითულ უნდა იქნეს სატენდერო წინადადებასთან ერთად. სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული მანქანა-მექანიზმების სარგებლობით განსაზღვრული ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.

ხელმოწერა _____

ბ.ა.

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	SPAN№

- პრეტენდენტს 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს ანალოგიური (გზების და ქუჩების კაპიტალური ან/და მიმდინარე /ორმოული/ფრაგმენრული/ შეკეთება) სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომელთა ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1 000 000,0 (ერთი მილიონი) ლარს.

- იმ შემთხვევაში, თუ დანართი №3-ში მითითებული სამუშაოების შესყიდვა არ განხორციელებულა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, პრეტენდენტის მიერ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ფ.2 უნდა აიტვირთოს სატენდერო წინადადებასთან ერთად.

ხელმოწერა _____

ბ.ა.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი ——————————————————

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____
(შემსყიდველის დასახელება)
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ
_____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.
ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:
_____
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია _____
გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____
_____

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)